



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

“ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ”
სოციალური სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი

ზაჩა მგელაძე

„26 „სექტემბერი“ 2013 წელი

ვგზ. N2

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს
2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების
აუდიტის ანგარიში მ/34/00

თბილისი

2013

სარჩევი

1. საბიუჯეტო ასიგნებები	3
2. სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაციისა და აღჭურვის პროგრამა.....	3
3. სამუშაოს მაძიებელთა აღრიცხვისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა საჭიროებების შეფასების პროგრამის შესახებ.....	9
4. სოციალური დაცვა.....	11
5. ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამები.....	13
6. სახელმწიფო ქონების მართვა	16
7. დებიტორებისა და კრედიტორების შესახებ.....	18
8. საკუთარი შემოსავლების შესახებ	19
9. შიდა აუდიტი.....	20
10. რეკომენდაციები.....	21

1. საბიუჯეტო ასიგნებები

„საქართველოს 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სამინისტროსათვის დამტკიცებული ბიუჯეტი განისაზღვრა 1,821,816,200.00 ლარის ოდენობით. კანონში შეტანილი 3 ცვლილებით, ბიუჯეტი გაიზარდა 49,732,100.00 ლარით. დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 1,823,154,600 ლარი, საიდანაც ათვისებულია 1,793,862,759 ლარი.

2012 წელს საბიუჯეტო ასიგნებებიდან ათვისებულმა თანხამ შეადგინა 27,953,440 ლარი, დაზუსტებული გეგმა არ ათვისებულა 29,291,840 ლარით.

2012 წლის ასიგნებაში კვარტლებს, მუხლებსა და კოდებს შორის განხორციელებულია 151 (ას ორმოცდათერთმეტი) ცვლილება, საიდანაც მხოლოდ 2 (ორი) ცვლილება (ცნობა №24 და №462) დამტკიცდა კანონით (№6630-რს, 23 ივლისი, 2012 წელი).

2. სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაციისა და აღჭურვის პროგრამა

2.1. სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაციისა და აღჭურვის პროგრამის ფარგლებში განხორციელებული შესყიდვების შესახებ

საქართველოს მთავრობის №115 დადგენილებით დამტკიცდა 2012 წლის სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაციისა და აღჭურვის პროგრამა, რომელმაც, თავის მხრივ, მოიცვა:

- საქართველოს ეროვნული სამედიცინო (სიმულაციური) ტრენინგცენტრის რეკონსტრუქცია-აღჭურვა;

- პათოლოგიური ლაბორატორიის სამშენებლო სამუშაოები;

- ჯანმრთელობის დაცვის ერთიანი საინფორმაციო სისტემის დანერგვისათვის საჭირო ტექნიკური ინფრასტრუქტურის შექმნა, შესაბამისი პროგრამული ლიცენზიებისა და საჭირო მომსახურების შესყიდვა;

- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სერვერული ცენტრის რესურსების გასაზრდელად შესაბამისი ტექნიკის და ამ მიზნით სათანადო პროგრამული უზრუნველყოფის შესყიდვა.

2012 წლის რეაბილიტაციისა და აღჭურვის პროგრამა ასევე მოიცავდა ფსიქიატრიული დაწესებულებების მშენებლობა-რეაბილიტაციის სამუშაოებს, თუმცა, პროგრამის აღნიშნული კომპონენტი დარჩა განუხორციელებელი, რაც, სამინისტროს განმარტებით, კომპონენტისთვის გამოყოფილი მცირე ფინანსური რესურსით - 264,000 ლარით იყო განპირობებული.

საქართველოს ეროვნული სამედიცინო ტრენინგცენტრის მშენებლობის საპროექტო სამუშაოები განახორციელა შპს „დემარკმა“, რომელსაც სამინისტრომ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო ხელშეკრულება გაუფორმა 2012 წლის მაისში, ხოლო სამშენებლო სამუშაოების თითოეული ეტაპის დაწყებამდე გამარტივებული შესყიდვით ხელშეკრულებები ფორმდებოდა შპს „არტესთან“.

სამშენებლო სამუშაოების დასახელება	შემსრულებლის დასახელება	თანხა
სამედიცინო სიმულაციური ტრენინგ-ცენტრის ნულოვანი ციკლის საერთო სამშენებლო სამუშაოები	შპს „არტესი“	726,560
ტრენინგ ცენტრის ნულოვანი ციკლის სამშენებლო სამუშაოები	შპს „არტესი“	46,062
ტრენინგ ცენტრის ნულს ზედა ციკლის სამშენებლო სამუშაოები	შპს „არტესი“	1,785,937
ტრენინგ ცენტრის ნულს ზედა ციკლის სამშენებლო სამუშაოები	შპს „არტესი“	1,238,760
ეროვნული სამედიცინო ტრენინგ-ცენტრის შიდა ელექტრო-სამონტაჟო სამუშაოები	შპს „არტესი“	316,393
ეროვნული სამედიცინო ტრენინგ-ცენტრის მოპირკეთების სამუშაოები	შპს „არტესი“	1,653,260
		5,766,973

ზემოაღნიშნული ცხრილის მიხედვით, შპს „არტესს“ გაუფორმდა 5,233,880 ლარის ღირებულების ხელშეკრულებები, მათ შორის, 1,843,679 ლარი ავანსად გადახდილ თანხას წარმოადგენდა. ავანსად გადახდილი თანხის შესაბამის სამუშაოებზე დღემდე არ არის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტები.

რეაბილიტაციისა და აღჭურვის პროგრამის ფარგლებში სიმულაციური ცენტრის მშენებლობა-რეკონსტრუქციის ფარგლებში ასევე ავანსად იქნა გადახდილი შემდეგი თანხები:

კომპანიის დასახელება	თანხა
შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისი“	15,914
შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისი“	27,014
შპს "GWP"	7,450
სს "თელასი"	40,000
	90,378

ზემოაღნიშნულ ავანსად გადახდილი თანხის შესაბამის სამუშაოებზე მიღება-ჩაბარების აქტები გაფორმებული არ არის.

სიმულაციის ცენტრის მოპირკეთების სამუშაოები უნდა დასრულებულიყო 2012 წლის 31 დეკემბერს. თუმცა, შესრულებული სამუშაოების მიღება სამინისტროს მიერ აუდიტის დაწყებამდე არ განხორციელებულა.

რეაბილიტაცია-აღჭურვის პროგრამის აღჭურვის კომპონენტის ფარგლებში, 2012 წლის აგვისტოს თვეში, სამინისტრომ, მთავრობის დადგენილების შესაბამისად, გამოაცხადა გამარტივებული ელექტრონული ტენდერები სხვადასხვა ტიპისა და კატეგორიის სიმულატორების შესასყიდად. ეს უკანასკნელი განკუთვნილი იყო სიმულაციური ცენტრისთვის, რომლის მშენებლობა ამ პერიოდისათვის არ იყო დასრულებული. ტენდერები, გარდა ერთი შემთხვევისა¹, ფაქტობრივად, კონკურენციის გარეშე ჩატარდა და ყველა ტენდერის შედეგად ხელშეკრულებები გაფორმდა შპს „მოწინავე სამედიცინო ტექნოლოგიებსა და სერვისთან“. ხელშეკრულებების ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა 339,030 ლარი. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრა 2012 წლის 31 დეკემბრამდე, რა დრომდეც ეროვნულ ტრენინგ-ცენტრში უნდა მომხდარიყო სიმულატორების მონტაჟი, რაც, თავის მხრივ, ხელშეკრულებებით იყო განსაზღვრული, მაგრამ 2012 წლის დეკემბერში ხელშეკრულებებში შევიდა ცვლილებები, რომელთა საფუძველზე ხელშეკრულებების მოქმედების ვადები გაიზარდა 2013 წლის 31 დეკემბრამდე.

აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულებით სიმულატორების მიღება-ინსტალაცია უნდა მომხდარიყო სიმულაციის ცენტრში. თუმცა, რადგან ცენტრის მშენებლობა ჯერ კიდევ დაუსრულებელია, ხელშეკრულებაში შესული ცვლილებების შედეგად, სიმულატორების მიღება განხორციელდა მიმწოდებლის მისამართზე და საქონლის მოვლა-შენახვაზე პასუხისმგებელი გახდა შპს „მოწინავე სამედიცინო ტექნოლოგიები და სერვისი“. შესაბამისად, სიმულატორების საინსტალაციო თანხა 16,951.00 ლარი, რომელიც წინასწარ იქნა გადახდილი, ამ დრომდე დებიტორულ დავალიანებად ითვლება.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია სიმულაციის ცენტრის აღჭურვისთვის განხორციელებული შესყიდვები:

დასახელება	თანხა	ტენდერის ნომერი	ხელშეკრულების ნომერი
შპს „მოწინავე სამედიცინო ტექნოლოგიები და სერვისი“	189,000	SPA120021098	3/3504/74
შპს „მოწინავე სამედიცინო ტექნოლოგიები და სერვისი“	17,800	SPA120021407	3/3504/75
შპს „მოწინავე სამედიცინო ტექნოლოგიები და სერვისი“	36,730	SPA120021653	3/3504/76
შპს „მოდერნ ვილა“	88,970	SPA120021357	3/3504/77
შპს „პისიშოპ-ჯი“	18,400	SPA120023373	3/3504/79
შპს „მოწინავე სამედიცინო ტექნოლოგიები და სერვისი“	37,500	SPA120022608	3/3504/10
შპს „მოწინავე სამედიცინო ტექნოლოგიები და სერვისი“	43,000	SPA120022609	3/3504/10
შპს „მოწინავე სამედიცინო ტექნოლოგიები და სერვისი“	15,000	SPA120023354	3/3504/10

¹ გამოცხადებულ ტენდერში - SPA120021653 მონაწილეობა მიიღო შპს „ცის-ნამმა“ და შპს „მოწინავე სამედიცინო ტექნოლოგიებსა და სერვისმა“, რომელმაც ტენდერში დაბალი ფასით გაიმარჯვა.

სიმულაციური ტრენინგცენტრის მშენებლობასთან დაკავშირებით, სამინისტრომ ელექტრონული ტენდერი ღირებულებით - 1,000,000 ლარი, გამოაცხადა ტრენინგ-მომსახურების შესყიდვაზე, რომელიც მიზნად ისახავდა სიმულაციურ ცენტრში ექიმებისა და მედპერსონალისთვის სხვადასხვა სახის ტრენინგების ჩატარებას. ტენდერში მონაწილეობა მიიღო მხოლოდ ერთმა პრეტენდენტმა, აშშ-ის EMORY UNIVERSITY-მა. მასთან 2012 წლის სექტემბერში გაფორმდა ხელშეკრულება, ღირებულებით - 1,000,000 ლარი. უნივერსიტეტთან საავანსო ანგარიშსწორება გამოყენებული არ ყოფილა. შესაბამისად, თანხა არ არის გადახდილი. ხელშეკრულება ითვალისწინებს მომსახურების მრავალწლიან შესყიდვას, მისი ვადა 2013 წლის 31 დეკემბერს იჭურება, რაც ასევე დაუშთავრებელი პროექტის - სიმულაციის ცენტრის მომსახურების განხორციელებას უკავშირდება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტროს მიერ ამ დრომდე უფუნქციო სიმულაციური ცენტრის მშენებლობა-რეკონსტრუქციისა და აღჭურვისთვის დაიხარჯა 5,802,145 ლარი, საიდანაც, გარდა ზემოხსენებული საქონლისა და მომსახურებისა, შესყიდულ იქნა ავეჯი - ღირებულებით 88,970 ლარი და კომპიუტერები - ღირებულებით 18,400 ლარი. კომპიუტერების ნაწილი (4 კომპიუტერი) - ღირებულებით 5760 ლარი, ამ დრომდე სამინისტროს სხვა მიზნებს, საყოველთაო დაზღვევის ცხელ ხაზს ემსახურება.

2012 წლის რეაბილიტაციისა და აღჭურვის პროგრამის ერთ-ერთი კომპონენტია ჯანმრთელობის დაცვის ერთიანი საინფორმაციო სისტემის დანერგვისათვის საჭირო ტექნიკური ინფრასტრუქტურის შექმნა, შესაბამისი პროგრამული ლიცენზიებისა და მომსახურებების შესყიდვა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სერვერული ცენტრის რესურსების გასაზრდელად შესაბამისი ტექნიკის და ამ მიზნით სათანადო პროგრამული უზრუნველყოფის შესყიდვა.

აღნიშნული კომპონენტის ფარგლებში, 2012 წლის 27 სექტემბერს გამარტივებული შესყიდვით, პროგრამული უზრუნველყოფის BPO/SaaS მრავალწლიანი ხელშეკრულება გაფორმდა EMC INFORMATION SYSTEMS INTERNATIONAL-თან და პარტნიორ კომპანიებთან: LASERBIOMED-თან და MOKIPAY-სთან. ხელშეკრულების ჯამურმა ღირებულებამ 6,093,292 ლარი შეადგინა. აღსანიშნავია, რომ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ ხელშეკრულება თარიღდება 27 სექტემბრით, ხოლო უცხოელი კონტრაქტების მიერ ხელშეკრულება ხელმოწერილია იმავე წლის 11 სექტემბერს. მთავრობის №1815 განკარგულებით, აღნიშნული ხელშეკრულების პროექტი მოწონებულ იქნა 2012 წლის 27 სექტემბერს, როდესაც ხელშეკრულება უკვე ხელმოწერილი იყო უცხოელი კონტრაქტების მიერ. მთავრობის #1815 განკარგულების შესაბამისად, ხელშეკრულება კონტრაქტთან

გაფორმდა შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-19 მუხლის მე-12 პუნქტის შესაბამისად, საბანკო გარანტიის წარმოდგენის გარეშე.

ხელშეკრულების ფარგლებში პროგრამული უზრუნველყოფის - პლატფორმის ლიცენზირებისა და პაციენტის ფოლდერების ლიცენზირებასა და ტექნიკურ მხარდაჭერაზე წინასწარი ანგარიშსწორებით შესაბამისი ხელშეკრულების შესრულების გარანტიის გარეშე, წინასწარ გადახდილ იქნა 4,593,292 ლარი. EMC INFORMATION SYSTEMS INTERNATIONAL-ისგან შესრულებული სამუშაო ამ დრომდე მიღებული არ არის, ხოლო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ეტაპების განხორციელება, რომელიც გულისხმობს ჯანდაცვის სისტემაში ელექტრონული სისტემის დანერგვას, არ დაწყებულია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2012 წლის რეაბილიტაციასა და აღჭურვის პროგრამის ფარგლებში განხორციელებულმა საქმიანობამ პროგრამულ მიზნებს ვერ მიაღწია. რეაბილიტაციის კომპონენტით გათვალისწინებული ეროვნული ტრენინგ ცენტრის ფუნქციონირება არ არის დაწყებული, სარემონტო სამუშაოებისთვის ავანსის სახით გადახდილ თანხებზე შესაბამისი შესრულებული სამუშაო მიღებული არ არის.

ჯანმრთელობის დაცვის ერთიანი საინფორმაციო სისტემის დანერგვისათვის საჭირო ტექნიკური ინფრასტრუქტურის შექმნისთვის შესაბამისი პროგრამული ლიცენზიებისა და მომსახურებების შესყიდვა წინასწარი ანგარიშსწორებით განხორციელდა, რაზეც შესაბამისი საბანკო გარანტიები არ არსებობს, ხოლო ხელშეკრულებით გათვალისწინებული სისტემის ეტაპობრივი დანერგვა - არ დაწყებულია.

2.2. რეაბილიტირებული დაწესებულებების გასხვისება

სამინისტროს დაუმთავრებელი ძირითადი აქტივებისა (ანგ. №2140) და აქტივების სხვა მოცულობითი ცვლილებების (ანგ. №8200) ანგარიშების შესწავლით, რომელიც შერჩეულ იქნა სამინისტროს ცენტრალური აპარატის ბრუნვითი უწყისიდან, გამოვლინდა, რომ 2012 წელს სამინისტროს ბალანსზე აღარ ირიცხება 46,973,015.00 ლარის ღირებულების აქტივი (დაუმთავრებელი მშენებლობა), რომელიც წარმოადგენდა შპს „რკინიგზის ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოსა“ და შპს „გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიული კლინიკის“ სარგებლობაში არსებულ სახელმწიფო ქონებას.

აუდიტის ჯგუფმა შეისწავლა ზემოაღნიშნული შენობა-ნაგებობის ბალანსიდან ჩამოწერის კანონიერება და გამოვლინდა, რომ სახელმწიფო ქონება 2011-2012 წლებში დანაწილების პრინციპით, აუქციონისა და პირდაპირი მიყიდვის წესით გასხვისდა სხვადასხვა ფიზიკურ და იურიდიულ პირზე.

სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაციისა და აღჭურვის პროგრამის ასიგნებებიდან, 2010-2011 წლებში განხორციელდა „რკინიგზის ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოსა“ და „გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიული კლინიკის“ რეაბილიტაცია. სარეაბილიტაციო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესყიდვა, რეაბილიტაციისა და აღჭურვის პროგრამის ფარგლებში, განხორციელა ჯანდაცვის სამინისტროს პროექტების განმახორციელებელმა ცენტრმა. შპს „არტესთან“ გაფორმდა ხელშეკრულებები სამედიცინო დაწესებულებების რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის მიზნით. 2011 წლის 26 სექტემბერს ცენტრის დირექტორი დაინიშნა შპს „ნიუ ლაიფის“ დირექტორად.

აღნიშნული ხელშეკრულებების ფარგლებში, შპს „არტესმა“ შპს „რკინიგზის ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს“ სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის, 2010-2011 წლებში სამინისტროსგან მიიღო 20,837,690 ლარი, ხოლო „გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიული კლინიკის“ სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის - 26,135,316 ლარი.

აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ აღნიშნული სამედიცინო დაწესებულებების სარეგებლობაში არსებული სახელმწიფო ქონება ბალანსზე აღიარებულ ღირებულებასა და ჩატარებულ სარეაბილიტაციო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების ღირებულებაზე დაახლოებით 3-ჯერ ნაკლებ ფასად გასხვისდა, კერძოდ: „საქართველოს რკინიგზის ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს შენობა და მიმდებარე ტერიტორია გასხვისდა 9,654,915.00 ლარად, ხოლო „გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიული კლინიკა“ და მიმდებარე ტერიტორია - ჯამში, სხვადასხვა ფიზიკურ და იურიდიულ პირზე გასხვისდა 8,707,920.00 ლარად.

2011 წლის 1 სექტემბერს, პირდაპირი მიყიდვის წესით, შპს „გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიული კლინიკის“ საკუთრებაში არსებული სახელმწიფო ქონების ნაწილი 464 910 ლარად გადაეცა შპს „ბავშვთა ახალ კლინიკას“.

2011 წლის 6 სექტემბერს, დაწესებულების გასხვისებიდან მე-5 დღეს, შპს „ბავშვთა ახალი კლინიკის“ დამფუძნებლების მონაცემებში განხორციელდა ცვლილება და კლინიკის ერთ-ერთი დამფუძნებელი გახდა 2011 წლის 8 აგვისტოს რეგისტრირებული იურიდიული პირი - შპს „ნიუ ლაიფი“. თავის მხრივ, შპს „ნიუ ლაიფის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი არის შპს „არტესის“ დამფუძნებელი.

2011 წლის 5 სექტემბერს, შპს „ნიუ ლაიფმა“ 1,499,750 ლარად შეისყიდა შპს „ქ. თბილისის №2 სამშობიარო სახლის“ 100%-იანი წილი, რომელიც მდებარეობს გივი ჟვანიაშვილის სახელობის პედიატრიული კლინიკის ტერიტორიაზე და რომლის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია განახორციელა შპს „არტესმა“.

3. სამუშაოს მაძიებელთა აღრიცხვისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა საჭიროებების შეფასების პროგრამის შესახებ

„სამუშაოს მაძიებელთა აღრიცხვისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა საჭიროებების შეფასების პროგრამის² მიზანი იყო საქართველოს დასაქმების სახელმწიფო მინისტრის აპარატისათვის სამუშაოს მაძიებელთა ერთიანი მონაცემთა ბაზის შექმნის ხელშეწყობა და დევნილთა საჭიროებების შეფასება და აღრიცხვა. პროგრამის განხორციელების ვადად განისაზღვრა 2012 წლის 9 ივლისიდან - 2012 წლის 9 ნოემბრამდე პერიოდი.

პროგრამის ბიუჯეტმა დამტკიცებული გეგმით 6,000,000 ლარი, დაზუსტებული ბიუჯეტით - 11,914,100 ლარი, ხოლო საკასო ხარჯმა 10,990,528 ლარი შეადგინა. პროგრამის განმახორციელებელია სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტო“.

პროგრამის მოსარგებლებად არ ითვლებიან ის პირები, რომლებიც:

- არ იმყოფებიან ოჯახში 12 თვისა და მეტი დროის განმავლობაში;
- სამხედრო პირები (წვევამდებლები და სამხედრო პირები), რომლებიც ცხოვრობენ ყაზარმებში; საპატიმროებში, ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში, თავშესაფრებში/პანსიონატებში, სააღმზრდელო და სხვა ინსტიტუციურ დაწესებულებებში მყოფი (მცხოვრები) პირები.

სააგენტოს მიერ არ შემუშავდა კონტროლის მექანიზმი, რომ პირები, რომლებიც არ არიან პროგრამით მოსარგებლებები, არ მოხვედრილიყვნენ სამუშაოს მაძიებელთა ერთიან მონაცემთა ბაზაში. პროგრამის ფარგლებში დამტკიცდა სამუშაოს მაძიებლის აღრიცხვის კითხვარის ფორმის მიმოქცევისა და აღრიცხვის წესი, რომელიც არ ითვალისწინებდა ზედამხედველ აგენტსა და დასაქმების აგენტს (ზედამხედველ დევნილთა ინტერვიუერსა და დევნილთა ინტერვიუერს, უფროს ოპერატორსა და ოპერატორს) შორის კითხვარების მიმოქცევისას მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებას.³

² საქართველოს მთავრობის 2012 წლის 23 ივლისის №281 დადგელობებით ჩამოყალიბდა, როგორც „სამუშაოს მაძიებელთა აღრიცხვისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა საჭიროებების შეფასების პროგრამა“.

³ სააგენტოს 2012 წლის 11 ივლისის №04-438/ო ბრძანება; 2012 წლის 27 ივლისის N04-463/ო ბრძანება.

სააგენტოზე არ გავრცელდა „საქართველოს 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მოთხოვნა⁴ შტატგარეშე მომუშავეთა რიცხოვნობის განსაზღვრის შესახებ.

„საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევილთა საჭიროებების შეფასების პროგრამით“ ღონისძიებების უზრუნველყოფისათვის შტატგარეშე თანამდებობაზე 2 თვის ვადით, 2012 წლის 7 აგვისტოდან 2012 წლის 7 ოქტომბრამდე, მიღებულ იქნენ 292 პირი „დასაქმებული“. სააგენტოს 2012 წლის 24 აგვისტოს №787 ბრძანებით შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვითაც, შეწყვეტილად ჩაითვალა შრომითი ურთიერთობა პირველი ბრძანების ძალაში შესვლის დღიდან, 2012 წლის 7 აგვისტოდან, სააგენტოს 5 დასაქმებულთან, ხოლო სააგენტოს 2012 წლის 4 ოქტომბრის №914 ბრძანებით, 2012 წლის 7 ოქტომბრიდან უფლებამოსილება შეუწყდა 287 დასაქმებულს.

სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, აღნიშნულმა პირებმა შეავსეს კახეთში, სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო სამთავრობო შტაბის მიერ შემუშავებული და დამტკიცებული „სტიქიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის საყოველთაო აღწერის“ ანკეტები. არამიზნობრივმა ხარჯმა შეადგინა 174,652 ლარი.

სააგენტოს 2012 წლის 7 აგვისტოს №04-729/კ ბრძანების მიხედვით, ორ „დასაქმებულს“ არ მიუღია შრომის ანაზღაურება (მიზეზი: ერთი მხრივ - საბანკო რეკვიზიტების წარმოდგენლობა, ხოლო მეორე მხრივ - წარმოდგენილი საბანკო რეკვიზიტების მიხედვით გადარიცხული თანხა ბანკმა უკან დააბრუნა), ხოლო ერთს - შეცდომით ჩაერიცხა თანხა.

სამუშაოს მაძიებელთა აღრიცხვის პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების ოპერატიულ და შემჭიდროებულ ვადებში უზრუნველყოფის მიზნით, სააგენტომ⁵ ერთი თვის ვადით, 2012 წლის 1 სექტემბრიდან 2012 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით, აყვანილ 21 837 შტატგარეშე პირს - სტატუსით „დასაქმებული“, სს „ლიბერთი ბანკში“, სააგენტოს სატრანზიტო ანგარიშზე გადაურიცხა 5 280 880 ლარი, როგორც სექტემბრის თვის შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება.

სააგენტომ ვერ წარმოადგინა მტკიცებულება 21 837 პირის მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ. პასუხისმგებელ პირთა მიერ წარმოდგენილი ცნობით, აღნიშნულ პირებს პროგრამის ფარგლებში რაიმე სამუშაო არ შეუსრულებიათ⁶. ზედმეტად არამიზნობრივად გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 5 280 880 ლარი.

⁴ 2012 წლის 5 ივლისის №1292 განკარგულებით - არა უმეტეს 3 584 ერთეულით, საქართველოს მთავრობის 2012 წლის 23 ივლისის №1425 განკარგულებით - არა უმეტეს 3863 ერთეულით, საქართველოს მთავრობის 2012 წლის 31 ივლისის №1485 განკარგულებით - არა უმეტეს 26 027 ერთეულით.

⁵ სააგენტოს 2012 წლის 3 სექტემბრის ბრძანება №04-814/კ; ბრძანების №3 დანართით („სამუშაოს აღწერილობა“) გათვალისწინებული სამუშაოს შესრულება.

⁶ სააგენტოს ცნობა.

4. სოციალური დაცვა

4.1 სოციალური დახმარების პროგრამა

მოსახლეობის სოციალური, ეკონომიკური და სამართლებრივი დაცვის გაუმჯობესებისა და ერთიანი საინფორმაციო სისტემის დანერგვის მიზნით, სოციალური მომსახურების სააგენტო ქმნის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზას და გასცემს სოციალურ დახმარებებს ფულადი ფორმით. მონაცემთა ბაზა მოიცავს ცნობებს ოჯახის საცხოვრებელი ადგილის, მასში შემავალი პირების, აგრეთვე ოჯახის ზოგადი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ.

აუდიტის ჯგუფმა შეისწავლა კონტროლის მექანიზმები, თუ რამდენად ეფექტიანად ხორციელდება მონაცემთა ბაზის გადამოწმება სოციალურად დაუცველთა ქონებრივი სტატუსის სარწმუნოების დასადგენად. სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ დირექტორის ბრძანებით, ოჯახზე საარსებო შემწეობის შეწყვეტის კრიტერიუმად განისაზღვრა საშუალოდ თვეში 200 ლარი შემოსავალი. აუდიტის ჯგუფმა შეფასების კრიტერიუმად განსაზღვრა 4-ჯერ მეტი ყოველთვიური ოჯახის წევრის შემოსავალი - 800 ლარის ოდენობით (დაახლოებით წლიური 10,000 ლარი). აღნიშნული შეფასების კრიტერიუმის გამოყენებით, სოციალურად დაუცველი ოჯახების წევრების მონაცემთა ერთიან ბაზაში გამოვლინდა, რომ რეგისტრირებული არიან ისეთი ბენეფიციარები, რომელთა წლიური შემოსავალი აღემატება 10,000 ლარს ან ფლობენ თანამედროვე (არასაბჭოთა) ორ ან მეტ ავტომობილს:

2012 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადარიცხული დახმარება:

წლიურად 10,000 ლარზე მეტი შემოსავლის მქონე პირებზე გაცემული დახმარება	ორი და მეტი და თანამედროვე ავტომობილის მფლობელზე გაცემული დახმარება	სულ
234,378	373,494	607,872
234,378	373,494	607,872

აღნიშნული მონაცემები გადამოწმდა სოციალური მომსახურების სააგენტოს ბაზის მონაცემთა შედარებით შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემთა ბაზასთან (ინფორმაცია რეგისტრირებული ფიზიკური პირების მიერ ავტოსატრანსპორტო საშუალებათა ფლობის შესახებ) და შემოსავლების სამსახურიდან მიღებულ

მონაცემებთან (ინფორმაცია რეგისტრირებული პირების შემოსავლების ოდენობის შესახებ).

აუდიტორული პროცედურებით გამოვლინდა, რომ ზედმეტად გახარჯულია 607,872 ლარი. სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ არ ხორციელდება ბაზების სათანადოდ მართვა და კონტროლის ეფექტიანი მექანიზმების დანერგვა და განხორციელება.

4.2. სოციალური რეაბილიტაცია და ბავშვზე ზრუნვის პროგრამის შესახებ

სამინისტროს მიერ დაიგეგმა და არ შესრულებულა შემდეგი პროგრამები:

35 02 03	სოციალური რეაბილიტაცია და ბავშვზე ზრუნვა	IV დამტკიცებული	დაზუსტებული	შესრულება
35 02 03 21	დედათა და ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა	-	9,110	-
35 02 03 14	უსინათლოთა სოციალური ინტეგრაციის ქვეპროგრამა	15,000	-	-

დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის ბიუჯეტი 2012 წლის განმავლობაში გაიზარდა 3,202,742 ლარით. აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში სამინისტრომ წარმოადგინა შემდეგი სტატისტიკური მონაცემები:

დამხმარე საშუალება	აღრიცხვაზე მყოფი 01.01.2012	2012 წელს შემოსული	2012 წელს გაცემული	აღრიცხვაზე მყოფი 01.01.2013
სავარძელ-ეტლი	290	1,034	1,100	224
საპროთეზო-ორთოპედიული	800	890	1,184	506
სმენის აპარატი	566	1,754	1,600	720
კოხ. იმპლანტი	65	44	52	67

როგორც 2011 წელს, ასევე 2012 წლის განმავლობაში სამინისტროს მხრიდან არ განხორციელებულა აღრიცხვაზე მყოფ ბენეფიციართა რაოდენობაზე დაყრდნობით ზუსტი საბიუჯეტო სახსრების დაგეგმვა. სამინისტროს არ აქვს შემუშავებული პოლიტიკა და პროცედურები, ჩაატაროს შესაბამისი ღონისძიებები ბენეფიციართა მოსაძიებლად და სხვა მომლოდინე ბენეფიციარებით დროულად ჩასანაცვლებლად, რათა პროგრამის სიკეთით ისარგებლოს რაც შეიძლება მეტმა მოქალაქემ.

4.3. დედათა და ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა

წლის ბოლოს დამტკიცდა ახალი ქვეპროგრამა, თუმცა არ განხორციელებულა. საბიუჯეტო კოდის დამატება განხორციელდა 2012 წლის 3 დეკემბერს, ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულების - მახინჯაურის ჩვილ ბავშვთა სახლის ოპტიმიზაციასთან დაკავშირებით.

5. ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამები

1. 2012 წლის პრიორიტეტული ჯანმრთელობის დაცვის პროგრამები ბიუჯეტით დაზუსტდა 351,977,500 ლარით, საიდანაც აუთვისებელმა თანხამ შეადგინა 19,067,326 ლარი.

პრიორიტეტების ფარგლებში განსახორციელებელ პროგრამებად განისაზღვრა:

ჯანმრთელობის დაცვის პროგრამა	IV დამტკიცებული	დაზუსტებული	შესრულება	აუთვისებელი თანხა
ჯანმრთელობის დაზღვევა	170,530,000.00	156,970,000.00	153,304,785.00	(3,665,215.00)
საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა	14,157,200.00	13,400,200.00	11,115,971.00	(2,284,229.00)
მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების მიწოდება პრიორიტეტულ სფეროებში	159,294,100.00	181,023,300.00	168,347,409.00	(12,675,891.00)
დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლება	170,000.00	584,000.00	142,009.00	(569,800.00)
სულ	344,151,300.00	351,977,500.00	332,782,364.00	(19,195,136.00)

ჯანმრთელობის დაზღვევის ბუჯეტში თავისუფალი რესურსის არსებობა განაპირობა მოსახლეობაზე დაურიგებელმა პოლისებმა, რაც გამოყენებულ იქნა ადმინისტრაციული ხარჯების გასაწევად, კერძოდ: 2012 წლის 24 დეკემბერს ბიუჯეტის კანონით დამტკიცდა ადმინისტრაციული ერთეულებისათვის 1,583,000 ლარის პრემიები. ზრუნვის სააგენტოს მიერ საგადასახადო დავალიანებების გასტუმრების მიზნით გამოყენებულია 290,000 ლარი; შტატგარეშე მოსამსახურეთა პრემირებისათვის - 119,000 ლარი, სულ ადმინისტრაციული ხარჯებისათვის გამოყენებულია - 1,173,400 ლარი. სამუშაოს მაძიებელთა აღრიცხვისათვის გამოყენებულია 4,863,000 ლარი. რეფერალური მომსახურების საჭირო ხარჯების დასაფინანსებლად ათვისებულია დაზღვევის რესურსი - 3,000,000 ლარი.

ჯანმრთელობის დაზღვევაში წარმოქმნილი ეკონომია 26 დეკემბერს გადანაწილდა დაწესებულებების ფაქტობრივი შესრულების ასანაზღაურებლად ისეთი სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში, როგორიცაა: ურგენტული

მომსახურება (100,000 ლარი), გულის ქირურგია, ონკოლოგია და 3-წლამდე ბავშვების სტაციონარული მომსახურება. აღნიშნული პროგრამების განხორციელება კი სადაზღვევო პროგრამით განისაზღვრა მთავრობის 2012 წლის 7 მაისის №165 დადგენილებით, რომელიც ამოქმედდა იმავე წლის 1 სექტემბრიდან.

მოსახლეობის ურგენტული მომსახურების ფარგლებში, 2012 წლის სექტემბრის შემდეგ (ოქტომბერი-დეკემბერი) სამედიცინო კომპანიებისათვის გადარიცხულმა თანხამ შეადგინა 709,300 ლარი. მიღებული განმარტებით, აღნიშნული დაგვიანებით განხორციელებული გადარიცხვები ძირითადად გამოიწვია იმან, რომ ზოგიერთმა სამედიცინო კლინიკამ შესრულებული სამუშაოების შესახებ დოკუმენტაცია დროულად არ წარმოადგინა და ამასთან, არსებობდა სადავო თანხები.

კლინიკებმა დაარღვიეს 2011 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ადმინისტრირების წესი, რომელიც ითვალისწინებდა საანგარიშგებო დოკუმენტაციის წარდგენას განმახორციელებელთან არა უგვიანეს შესრულებული სამუშაოს თვის მომდევნო თვის 10 რიცხვისა, ხოლო ვადაგადაცილებით წარდგენილი დოკუმენტაცია განიხილებოდა დადგენილი წესით, შემდეგი თვის დოკუმენტაციასთან ერთად.

2. რეფერალური მომსახურების პროგრამის დამტკიცებული ბიუჯეტი შეადგენს 11,000,000 ლარს, რომელიც საბოლოოდ დაზუსტდა 25,424,000 ლარით. აუთვისებელი დარჩა 7,129,320 ლარი.

რეფერალური მომსახურების ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის კომპონენტში, მსჯავრდებულთა კომისიური შემოწმების უზრუნველყოფა, კომისიის საქმიანობის წესი - განისაზღვრება საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანებების (№179, №427) მე-5 მუხლით, რომელიც ითვალისწინებს კომისიის თავმჯდომარის მიერ დანიშნული, დაავადების შესაბამისი პროფილის კვალიფიციური ექიმის ან ექიმთა ჯგუფის მიერ (მე-4 პუნქტი) მსჯავრდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესწავლას. ამავე მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, კომისიის თავმჯდომარის მიერ დანიშნული ექიმი ან ექიმთა ჯგუფი, საკითხის შესწავლის შემდეგ ადგენს დასკვნას, რომელიც განსახილველად წარედგინება კომისიას.

2012 წლის 2 აპრილს შრომითი ხელშეკრულება სხვადასხვა პროფილის 5 ექიმთან (ფთიზიატრი, ონკოლოგი, ოფთალმოლოგი, ენდოკრინოლოგი, ფსიქიატრი) გაფორმდა. 2012 წელს, მთელი წლის განმავლობაში არც ერთ ექიმზე შრომის ანაზღაურება არ გაცემულა. შესაბამისად, ექიმის ან ექიმთა ჯგუფის კვალიფიციური შრომა კომისიის გადაწყვეტილების მისაღებად არ გამოყენებულა, ხოლო კომისიის წევრთა (კომისიის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე, კომისიის წევრი, კომისიის მდივანი) შრომის ანაზღაურებამ 72 000 ლარი შეადგინა.

2012 წელს კომისიის მიერ განხილულია განცხადებები, მათ შორის, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო სასჯელის მოხდის გადავადების შესახებ, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო სტაციონარში გადაყვანისა და ადეკვატური მკურნალობის უზრუნველყოფის თაობაზე, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო სასჯელის მოხდისგან გათავისუფლების თაობაზე და სხვ.

3. მთავრობის 2012 წლის 8 აგვისტოს №1581 განკარგულების საფუძველზე, 2012 წლის 31 ივლისს ბიუჯეტში დამატებულია ახალი საბიუჯეტო კოდი - „სტომატოლოგიური მომსახურების ხელმისაწვდომობა სოფლად“. ბიუჯეტი განისაზღვრა 424,000 ლარით.

პროექტი მიმდინარეობდა მხოლოდ 4 (ოთხი) თვე (აგვისტოდან - ნოემბრის ჩათვლით) და ათვისებულია 375,949 ლარი. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, 2012 წლის მაისში სტომატოლოგიური მომსახურების უზრუნველსაყოფად შეძენილ იქნა სპეციალურად აღჭურვილი 2 (ორი) ავტობუსი, ღირებულებით 409,000 ლარი, რომელიც აუდიტის ჩატარების პერიოდში უფუნქციოდ იყო პარკირებული სამინისტროს ავტოპარკში, რადგან პროექტი შეჩერებულია.

სტომატოლოგიური მომსახურების ხელმისაწვდომობა სოფლად არ არის პროგრამულად გაწერილი, არ გააჩნია მიზანი, გეოგრაფიული არეალი, ამოცანები და მოქმედების ვადა.

სამინისტროს ხელმძღვანელობა იღებდა გადაწყვეტილებას, თუ რომელ რეგიონში უნდა განხორციელებულიყო პროგრამული ღონისძიებები. სამინისტროში შესრულებული სამუშაო გროვდებოდა შემთხვევათა რეესტრის სახით, რომელსაც ერთი თანამშრომელი ადარებდა მხოლოდ ხელშეკრულების დანართთან იმ მიზნით, რომ შესრულება არ გასცდენოდა ხელშეკრულების დანართით გათვალისწინებულ ფარგლებს. კონტროლის სხვა მექანიზმები არ იყო გათვალისწინებული.

განკარგულებით, ბენეფიციარებს მიეკუთვნებოდნენ 50 წელს ზემოთ ასაკის საქართველოს მოქალაქეები. სტომატოლოგიური მომსახურება ჩაუტარდა 4 326 ბენეფიციარს, საიდანაც, როგორც გამოვლინდა, 250-ზე მეტი პაციენტი 50 წელს ქვემოთ ასაკის პირი იყო. ვინაიდან აღნიშნული პროგრამის ფარგლებში შესრულებლის მიერ წარმოდგენილ შესრულებული სამუშაოს ფორმა არ ითვალისწინებდა ცალკეულ პაციენტზე ჩატარებული მომსახურებების ღირებულებას, დაუდგენელია ზემოაღნიშნულ პაციენტებზე გაწეული არამიზნობრივი ხარჯის მოცულობა. ამასთან, მომსახურების მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხორციელდებოდა არა შესრულებული სამუშაოს წარდგენის მიხედვით, არამედ დადგენილებით გათვალისწინებული, წინასწარი გადახდებით.

4. პროგრამა „სოფლის ექიმს“, სექტემბრის თვეში (ერთი თვით გარდამავალ პერიოდში), დაემატა ქვეკომპონენტი - „ამბულატორიული მომსახურება ქ. თბილისის მასშტაბით“. ბიუჯეტი განისაზღვრა 477,400 ლარით, სექტემბრის თვიდან კი აღნიშნული მომსახურება გათვალისწინებული იყო დაზღვევის პროგრამაში (2012 წლის 7 მაისის №165 დადგენილება). ორივე პროგრამა ითვალისწინებდა ერთსა და იმავე პერიოდში, ერთი და იმავე ასაკის პირებზე მომსახურების გაწევას. აღნიშნული

მომსახურების გაწევა განხორციელდა იმ სამედიცინო დაწესებულებებში, რომლებთანაც ხელშეკრულება იყო გაფორმებული სახელმწიფო დაზღვევის ფარგლებში. სახელმწიფო ბიუჯეტიდან განხორციელდა სადაზღვევო პრემიების გაცემა, ასევე ქვეკომპონენტის ფარგლებში შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება.

სამინისტრომ საფუძვლიანი და დასაბუთებული ანალიზის (თუ რა კატეგორიის და რამდენ ბენეფიციარზე დარიგდა სადაზღვევო პოლისი სადაზღვევო პრემიის გადასარიცხად) გარეშე განახორციელა ზემოაღნიშნული კომპონენტის დამატება და შესაბამისად, დაფინანსება სახელმწიფო ბიუჯეტიდან აღნიშნულ სერვისზე განხორციელდა 477,400 ლარის ღირებულების არამიზნობრივი ხარჯი.

5. დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლება, რომლის პრიორიტეტად განისაზღვრებოდა შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება ჰოსპიტალური სექტორის ჭრილში, ადამიანური რესურსების განვითარების მიზნით; საექიმო სპეციალობათა განახლებული ნუსხის შესაბამისად, ზოგიერთ საექიმო სპეციალობაში სარეზიდენტო პროგრამების სრულყოფა, პროფესიული კომპეტენციების შემუშავება და შეფასების მექანიზმების გაუმჯობესება. 2012 წლის პროგრამის ბიუჯეტი გაიზარდა 414,000 ლარით, დამატება განხორციელდა პროგრამების შესაძლო დეფიციტის დაფინანსების ბიუჯეტის შემცირებით (26 ივნისს - 334 000 ლარი, 2012 წლის №221 დადგენილების საფუძველზე, ხოლო 18 ივლისს -200,000 ლარი, 2012 წლის 14 მაისის №180 მთავრობის დადგენილების საფუძველზე) და განისაზღვრა სულ 584,000 ლარით.

2012 წელს არ განხორციელდა შემდეგი პროგრამები:

35 03 04	დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლება	IV დამტკიცებული	დაზუსტებული	შესრულება	აუთვისებელი თანხა
35 03 04 01	დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლების რეფორმის მხარდაჭერა	170,000.00	384,000.00	14,200.00	(369,800.00)
35 03 04 03	კლინიკური მდგომარეობების მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლები) შემუშავების საგრანტო პროგრამა	-	200,000.00	-	(200,000.00)

6. სახელმწიფო ქონების მართვა

1. სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ ჩაბარებული 2012 წლის ბალანსებში ძირითადი აქტივების ნაშთი შეადგენს 63,310,860 ლარს, ხოლო საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ ჩაბარებულ 2012 წლის ნაერთ ბალანსში ძირითადი აქტივების ნაშთი - 63,484,896 ლარს. შესაბამისად, 174,036 ლარის ოდენობით არის გაზრდილი

ძირითადი აქტივები.

სამინისტროს განმარტებით, წარმოდგენილი სხვაობა არის სსიპ - „ახალგორის ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულების“ ბალანსზე რიცხული აქტივები. აღნიშნული ბავშვთა სახლი 2008 წელს რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ აღარ ფუნქციონირებს, შესაბამისად, ბავშვთა სახლის ბალანსზე 2008 წელს რიცხული აქტივების დამატება სამინისტროს კონსოლიდირებულ ბალანსზე ხორციელდება მანუალურად.

2. სამინისტროს 2012 წლის ნაერთი ბალანსი წარმოდგენილია ისეთი საბალანსო ნაშთებით, რომლებიც არსებითად განსხვავდება საბაზრო ღირებულებისაგან. სოციალური მომსახურების სააგენტოს ბალანსზე არსებული, ონის რაიონში მდებარე შენობა-ნაგებობის 1 კვ.მ-ის ღირებულება განსაზღვრულია 23 ლარით, ხარაგაულის რაიონში - 37 ლარით, სამტრედიის რაიონში - 17 ლარით, ნინოწმინდის რაიონში - 19 ლარით, ხოლო მიწის ღირებულება ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, 1 კვ.მ-ის ფასი შეადგენს - 32 ლარს, გლდანი - ნაძალადევის რაიონში - 15 ლარს, მარტვილის რაიონში - 10 ლარს, აბაშის რაიონში - 15 ლარს, მცხეთაში - 49 ლარს, დედოფლისწყაროში - 1,44 ლარს, ყვარელში - 3,0 ლარს, სიღნაღში - 3,70 ლარს, წალენჯიხაში - 8, 97 ლარს, დუშეთის რაიონში - 6, 72 ლარს, წყალტუბოში - 14,54 ლარს, თიანეთში - 4,42 ლარს, ლანჩხუთში - 9,12 ლარს, ჩხოროწყეში - 9,36 ლარს. სოციალური მომსახურების სააგენტოს ბალანსზე აღურიცხავია ჯამში 7,636 კვ.მ მიწის ნაკვეთი.

სსიპ - „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის“ ბალანსზე არსებული შენობა - ნაგებობის (მდებარე ქ. ქუთაისში, ოცხელის ქ. №2) კვ.მ-ის ფასია - 8 ლარი.

კონსოლიდირებულ ბალანსში 1996 წლიდან ასახულია შვიდი მშენებარე ობიექტი 4,907,530 ლარის ღირებულებით, რომელიც 2008 წლის ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგად, ვერ იქნა იდენტიფიცირებული, რომელიც დღემდე ირიცხება სამინისტროს ბალანსზე.

3. 2011 წლის 18 ნოემბერს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ სსიპ - „სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს“ სარგებლობის უფლებით გადასცა შპს-„ჩვილ ბავშვთა სახლის“ შენობა-ნაგებობა და მასზე დამაგრებული არასასოფლო სამეურნეო-დანიშნულების მიწის ნაკვეთი - 249,678¹ ლარის ღირებულებით. სააგენტომ ზემოაღნიშნული ღირებულების ნაცვლად, შენობა-ნაგებობა ბალანსზე ასახა 27,782 ლარით, რომელიც მოიცავს ცალკეული აქტივების ღირებულებას, კერძოდ, გათბობის სისტემების მონტაჟი და სათვალთვალო სისტემების მონტაჟი, რომელიც უნდა აღრიცხულიყო ცალკეულ აქტივებად და არა შენობაზე კაპიტალიზირებადი ხარჯით. შედეგად, ნაერთ ბალანსში აქტივების ღირებულება შემცირებულია.

4. ცვეთის მექანიკური დაანგარიშებით გამოწვეულია უზუსტობები. კერძოდ, 2011 წლის შენობა-ნაგებობაზე დასარიცხი ცვეთა - 1,983.2 ლარის ნაცვლად დარიცხულია 19,832 ლარი. სამინისტრო მიერ არ განხორციელებულა აღნიშნული

¹ საწარმოთა მართვის სააგენტოს ბრძანება #1-3/1145.

შეცდომის კორექტირება.

სამინისტროს ცენტრალური აპარატის შენობის ცვეთა დაანგარიშებულია ნარჩენი ღირებულებიდან, რაც იწვევს ცვეთის შემცირებას 1,076 ლარით, აღნიშნული შეცდომა საჭიროებს კორექტირებას.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცენტრალური აპარატის ბალანსზე 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ირიცხება 48,988 ლარის საბალანსო ღირებულების შენობა-ნაგებობები. აღნიშნულ ქონებას სამინისტრო არ იყენებს, არის დაშლილი, დანგრეული და არ გააჩნია ტექნიკური დოკუმენტაცია. აღნიშნული უძრავი ქონება, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ თანხმობით, ექვემდებარება ჩამოწერას საქართველოს მთავრობის დადგენილების⁷ თანახმად.

5. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცენტრალურ აპარატს 2008 წლიდან არ განუხორციელებია ბალანსზე ასახული აქტივების ინვენტარიზაცია⁸, შესაბამისად, ვერ დასტურდება სამინისტროს ბალანსზე ასახული აქტივების არსებობა.

	2011	2012
სტრატეგიული მარაგები	3,736,662	3,735,755
სხვა მატერიალური მარაგები	3,228,945	474,979
მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	7,914,064	8,200,282
სხვა ძირითადი აქტივები	790,591	862,726
გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	35,853	30,609
სულ	15,708,126	13,306,363

ერთი დონის სახელმწიფო ერთეულებს შორის უძრავი ქონების გადაცემა ხორციელდება არა თავდაპირველი ღირებულებით, არამედ ნარჩენი ღირებულებით, ან ღირებულების გარეშე, რაც იწვევს ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპების დარღვევას. შედეგად, ფინანსური ანგარიშგება არ არის სამართლიანად წარდგენილი.

7. დებიტორებისა და კრედიტორების აღრიცხვა და მართვა

1. ცენტრალურ აპარატსა და სოციალური მომსახურების სააგენტოს დებიტორული დავალიანების აღრიცხვა ეწინააღმდეგება ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ დამტკიცებულ ინსტრუქციას⁹.

⁷ სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბალანსზე რიცხული ამორტიზებული ან გამოუყენებელი ძირითადი აქტივების ჩამოწერისა და მის შედეგად მიღებული ქონების განკარგვის წესი - მუხლი 82, პუნქტი 22, ბ ქვეპუნქტი.

⁸ საქართველოს პრეზიდენტის №70 ბრძანებულება „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცების შესახებ“, მუხლი 15.

⁹ ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ დამტკიცებული ინსტრუქცია - თავი 3, მუხლი 12, პუნქტი 5.

მოთხოვნა წარმოადგენს აქტივს, თუ ის, როგორც ღირებულების დაგროვების საშუალება, უზრუნველყოფს მისი მფლობელისათვის ეკონომიკური სარგებლის მიღებას.

2006 წლიდან დებიტორული დავალიანება წარმოქმნილია ინდივიდუალური რეფერალური პროგრამის ფარგლებში, სამინისტროს ბალანსზე 2012 წლის მდგომარეობით ასახული დებიტორული დავალიანება შეადგენს 5,350,139 ლარს, რომელიც ზემოაღნიშნული ინსტრუქციის შესაბამისად, არ ექვემდებარება დებიტორული დავალიანებად აღიარებას.

სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ დარღვეულია, ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ დამტკიცებული ინსტრუქცია კერძოდ, ფინანსური აქტივების და მოთხოვნების კლასიფიკაცია. დებიტორული დავალიანებების პირველადი აღიარება გატარებულია ვალდებულების ანგარიშზე (ანგარიში #3270), საიდანაც წლის ბოლოს ვალდებულების ანგარიშის სადებეტო ნაშთი ფინანსურ ანგარიშგებაში გადადის მანუალურად - სხვა დანარჩენი მოკლევადიანი მოთხოვნების ანგარიშზე (ანგარიში # 1480).

დეკემბრის თვეში გადახდილი ავანსი კომპანია - სს „ჯი პი სიზე“ გატარებულია ვალდებულებების ანგარიშზე, რომლის სადებეტო ნაშთი 93,525 ლარი, მანუალურად აისახა ფინანსურ ანგარიშგებაში.

8. საკუთარი შემოსავლები

აუდიტის ფარგლებში გაანალიზდა სამინისტროს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დანართი ფორმა №4-ის - „ანგარიში ეკონომიკური საქმიანობით მიღებული სახსრების მოძრაობის შესახებ“ - თანახმად აღრიცხვაში ასახული თანხების მოძრაობა. 2012 წლის განმავლობაში, სამინისტროს სისტემაში ეკონომიკური საქმიანობით შემოსავლები მიიღეს შემდეგმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირებმა, სულ 4,013,935 ლარის ოდენობით:

დასახელება	თანხა
1 სამედიცინო მედიაციის სამსახური	9,750
2 სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო	121,974
3 ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი	1,293,608
4 სოციალური მომსახურების სააგენტო	2,579,353
სულ:	4,004,685

1. სსიპ „სამედიცინო მედიაციის სამსახურის“ წლიური ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია არასწორად, გაზრდილი საკუთარი შემოსავლებითა და

ხარჯებით. სამედიცინო მედიაციის პროცესის დებულებით, იურიდიულ პირებზე გაწეული მომსახურების ღირებულება ან უკან უბრუნდებათ იურიდიულ პირებს, ან ნახევრდება მათ მიერ გადახდილი თანხები. ფინანსური ანგარიშგების მიხედვით, შემოსავლად აღიარებულია უკან დაბრუნებული და განახევრებული თანხები, სულ 19,000 ლარი. მედიაციის სამსახურის რეალური შემოსავალი შეადგენს 9,750 ლარს ხოლო იურიდიულ პირებზე დაბრუნებული თანხები ხარჯად აღიარების ნაცვლად უნდა დაკორექტირდეს შემოსავლებისა და ბანკის ანგარიშის გატარებების უკუგატარებით.

2. სსიპ „სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს“ ეკონომიკური საქმიანობით მიღებული სახსრების დანართში, შემოსავლების ნაწილში აღრიცხულია ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან ჩარიცხული ნებაყოფლობითი ტრანსფერების (საქველმოქმედო) თანხები 115,381 ლარის ოდენობით და პანსიონატებში განთავსებული ბენეფიციარების მიერ (საქართველოს მთავრობის 2010 წლის 27 ივნისის №22 დადგენილების საფუძველზე) გადახდილი თანხები 14,588 ლარის ოდენობით, სულ - 129,969 ლარი. აუდიტის ჩატარების პროცესში გამოვლინდა, რომ ფინანსური ანგარიშგების მიხედვით, 2012 წლის განმავლობაში ბენეფიციარების მიერ გადახდილმა თანხებმა შეადგინა 6,593 ლარი და არა 14,588 ლარი. სხვაობა - 7,995 ლარი 2011 წლის ბოლოს საბანკო ანგარიშზე არსებული ნაშთია, რომელიც გასულ წელს არ იყო ფინანსური ანგარიშგების დანართში ასახული.

3. სსიპ „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის“ მიერ წარმოდგენილ წლიურ დანართში, 2012 წლის საწყის ნაშთებში არასწორადაა აღრიცხული გასულ წლებში 1,495,918 ლარის ღირებულების არაფულადი აქტივების სახით მიღებული შემოსავლების ნაშთები. აღნიშნული დანართი ითვალისწინებს ანგარიშგებას მხოლოდ ფულადი სახსრების სახით მიღებული თანხების შესახებ. ეს ინფორმაცია უნდა ასახულიყო ბალანსის დანართში - ფორმა №3-ში.

4. სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ დანართი - ფორმა №4-ის ხარჯვით ნაწილში, არასწორად აქვს ასახული ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით. ეკონომიკური საქმიანობით მიღებული სახსრებიდან სააგენტოს თანამშრომლებზე გაცემული პრემია - თანხით 518,220 ლარი, აღრიცხულია „საქონელი და მომსახურების“ ნაწილში, ნაცვლად „შრომის ანაზღაურების“ მუხლისა.

9. შიდა აუდიტი

2012 წელს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის მიერ შედგენილია წლიური სამუშაო

გეგმა, სადაც გაწერილია შესამოწმებელი ობიექტები და მისი ვადები. სამუშაო გეგმის მიხედვით, 2012 წელს უნდა განხორციელებულიყო 5 აუდიტი და 3 ინსპექტირება, საიდანაც მხოლოდ ერთი ეფექტიანობის და ერთიც შესაბამისობის აუდიტი განხორციელდა.

მოცემული აუდიტის ანგარიშები არ იძლევა ღირებულ რეკომენდაციებს შიდა კონტროლის გარემოს გაუმჯობესებისა და კონტროლის მექანიზმების დანერგვის კუთხით. შესაბამისად, შიდა აუდიტის საქმიანობა ვერ ქმნის დამატებით ღირებულებას ორგანიზაციის საქმიანობაში, რაც მისი ძირითადი მისიაა.

10. რეკომენდაციები

1. მიზანშეწონილია, სამინისტრომ უზრუნველყოს ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების ბიუჯეტის ზუსტი მოცულობით დაგეგმვა, სწორად განსაზღვროს პროგრამის მიზნობრიობა, რათა თავიდან აიცილოს არამიზნობრივი ხარჯები. აუთვისებული ასიგნებებისა და პროგრამის დეფიციტისთვის განსაზღვრული თანხები უფრო მეტად უნდა მოხმარდეს სექტორის პრიორიტეტებს, ვიდრე დაუგეგმავ ღონისძიებებსა და ადმინისტრაციულ ხარჯებს.

სამინისტრომ ბიუჯეტის დიდი ნაწილი აითვისა ისეთ აქტივობებზე, რომლებიც შეჩერდა და პერიოდის ბოლოს საბოლოო მიზანი არ არის მიღწეული. სამინისტრომ უნდა უზრუნველყოს პროგრამის ფარგლებში დაწყებული აქტივობების განგრძობადობა და სახელმწიფო რესურსის ეფექტიანი ხარჯვა, მიღწეულ იქნეს დასახული მიზნები.

სამინისტროსათვის განსაკუთრებით პრობლემურია დაგეგმვისა და ფინანსების მართვის აღნიშნული ხარვეზი, რომელიც ასახულია უკანასკნელი 5 წლის ყველა აუდიტის ანგარიშში.

2. სამინისტრომ და შესაბამისმა სააგენტომ უნდა დანერგოს კონტროლის ეფექტიანი მექანიზმები სოციალურად დაუცველთა ქონებრივი სტატუსის სარწმუნოების მუდმივი მონიტორინგისათვის.

3. სამინისტრომ მიზანშეწონილია, უზრუნველყოს შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება, რომელიც სისტემურად გამართავს და მონიტორინგს გაუწევს მოთხოვნათა ხანდაზმულობის პროცესს. დაიგეგმოს და განხორციელდეს შესაბამისი პროცედურები დებიტორული დავალიანებების ლიკვიდაციისთვის (გადახდისუუნარო დებიტორების ჩამოსაწერად ან გადასახდელი თანხების დასაფარავად).

4. ინდივიდუალური რეფერალური მომსახურების პროგრამის ფარგლებში საჭიროა დამატებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავება. სამინისტროს ფინანსურ ანგარიშგებაში დებიტორული დავალიანების არასწორად ასახვის გამო, საბალანსე მუხლი ზედმეტად არის ასახული.

5. სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოში“, რომლის ფუნქციები გამოირჩევა დიდი მოცულობითა და მასშტაბით, მიზანშეწონილია შემუშავდეს სააღრიცხვო პოლიტიკა და აღრიცხვა წარმოებდეს პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით. აღმოიფხვრას მანუალური აღრიცხვის პრაქტიკა.

6. სამინისტროში დაინერგოს კონტროლის პროცედურები, რათა ეფექტიანად იქნეს აცილებული და გამოსწორდეს უზუსტობები, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფინანსური ანგარიშგების წარდგენისა და ცალკეული სამინისტროს სუბიექტების ანგარიშგებების კონსოლიდაციის პროცესში.

7. სამინისტრომ უზრუნველყოს ქონების რეალური ღირებულების შეფასება კანონმდებლობით დადგენილი წესით, ასევე დაადგინოს საკუთარ ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების მოცულობა და დაკავებული ფართობი. მიზანშეწონილია, განხორციელდეს შესაბამისი ღონისძიებები სამინისტროს ბალანსზე არსებული უფუნქციო ქონების მართვის გაუმჯობესების მიზნით.

8. სამინისტროს შიდა აუდიტის სტრუქტურულმა ერთეულმა საქმიანობაში გაითვალისწინოს სამინისტროს სისტემაში არსებული შიდა კონტროლის სისუსტეების გამოვლენა, კანონშეუსაბამო ქმედებისა და საბიუჯეტო სახსრების არაეფექტიანი ხარჯვის შესწავლა, რათა კონტროლის სისუსტეებისა და კანონშეუსაბამოებების აღმოსაფხვრელად სათანადო რეკომენდაციებით მიმართოს სამინისტროს ხელმძღვანელობას.

9. სამინისტროს შიდა აუდიტის სტრუქტურულმა ერთეულმა საქმიანობაში დაინერგოს შიდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები. სამინისტროს ხელმძღვანელობამ უზრუნველყოს „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დანერგვა და განხორციელება.

აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.